ს ა გ რ ა ნ ტ ო ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 52/53

ქ. თბილისი "24" "ნოემბერი" 2013 წ.

„ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 13 დეკემბრის N13/12/01 განკარგულების, "ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემის წესისა დასაგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 30 აგვისტოს N772 ბრძანების, „ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების წესის, საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმებისა და პროექტების საბოლოო შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2013 წლის 27 სექტემბრის N54 ბრძანებისა და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2013 წლის 5დეკემბრის N11 ოქმის საფუძველზე,

ერთი მხრივ, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის სულხან სისაურის სახით (შემდგომში - გრანტის გამცემი), მისამართი: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1, საიდენტიფიკაციო კოდი 204578064, სახელმწიფო ხაზინა, ანგ. №200122900

მეორე მხრივ, ნატო კოტარია (პირადი N 01030010859) ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტის (შემდგომში გრანტის) მიმღები, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

გრანტის გამცემის მიერ გრანტის მიმღებისათვის 2013 წელს ჩატარებული ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტის „CHRNA7-ის გენეტიკური ვარიაცია და მხედველობითი ინფორმაციის პროცესინგი ხანდაზმულობისა" საგრანტო დაფინანსება (შემდგომში – გრანტი) და გრანტის მიმღების მიერ პროექტითა (დანართი 1, გრანტის სამოქმედო გეგმით) და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობების განხორციელება.

მუხლი 2. დაფინანსება და მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. პროექტის საგრანტო დაფინანსება, გრანტის გამცემის მხრიდან, რომელიც განკარგვისათვის გადაეცემა გრანტის მიმღებს, შეადგენს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით პროექტის მიზნობრივ ანგარიშზე რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართ N3-ს.

2.2 გრანტის გამცემი ვალდებულია:

ა) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

12.2. ცვლილებები ან/და დამატებები ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მხარეთა რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა, შესაბამისად არ იქნება საჭირო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

12.3 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით. ფონდი უფლებამოსილია, პროექტის შემსრულებელთა მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, არა უგვიანეს 20 დღით ადრე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება.

გრანტის გამცემი:

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული

სამეცნიერო ფონდი

გენერალური დირექტორი

სულხან სისაური

გრანტის მიმღები:

ნატო კოტარია